



გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

13 იანვარი, 2023

საკითხი: შენიშვნები და რეკომენდაციები

**საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის -
ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის
განცხადება**

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბუნების დაცვისა და მეტყვეობის პროგრამისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მაგისტრანტები სალექციო კურსის, „ზემოქმედების შეფასების“, დავალების ფარგლებში გავეცანით საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადებას. გვსურს, გაგიზიაროთ დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებული შენიშვნები და რეკომენდაციები. გთხოვთ, იხილოთ დანართი 1. კითხვების შემთხვევაში, მზად ვართ მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია.

პატივისცემით,

ოთარ სახიაშვილი

ლამარა მალხასიან

ალექსი მემიშიში

მარიამ ღამბაშიძე

დანართი 1

საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებული შენიშვნები და რეკომენდაციები

1. სკოპინგის განცხადების საფუძვლიანად განხილვისთვის და ადეკვატური შენიშვნების და რეკომენდაციების მოწოდებისთვის გამოყოფილი დრო არასაკმარისია. სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტები („საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა“, „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა (პროექტი)“) ჯამში 658 გვერდია, შესაბამისად მათი ასეთ მოკლე დროში წაკითხვა და გაანალიზება ფაქტობრივად შეუძლებელია. დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ უკეთესი იქნება თუ მათზე შენიშვნების და მოსაზრებების მიღების ვადა გახანგრძლივდება.

ამასთანავე უნდა ითქვას ისიც, რომ სკოპინგის ანგარიშის შესახებ მოსაზრებების და შენიშვნების მიღების ვადა ვფიქრობთ შესაძლოა უკეთესი იყოს თუ ყოველი დოკუმენტისთვის ერთიდაიგივე არ იქნება (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (ვერსია 2020.01.18)-ის მიხედვით 15 დღე) და ვადის განსაზღვრა მოხდება გარკვეული კრიტერიუმების მაგ: დოკუმენტების გვერდების რაოდენობის, დოკუმენტების მნიშვნელობის, და საზოგადოების ინტერესების მიხედვით და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსშიც მოხდება სათანადო ცვლილების შეტანა.

2. სკოპინგის განცხადებაში, ასევე არ არის მოხსენიებული არცერთი დამფინანსებელი ოგანიზაცია, თუ უწყება. რაც გაურკვევლობას ბადებს მკვითხველში და უნდობლობას იწვევს დაინტერესებულ საზოგადოებაში, ანუ საქართველოს მოსახლეობაში. შესაბამისად კარგი იქნებოდა, რომ სკოპინგის განცხადებაში ნათლად ჩანდეს, იმ ორგანიზაციებისა, თუ უწყებების ვინაობა, რომლებიც სტრატეგიული დოკუმენტების და მის სგმ-ს მომზადებას აფინანსებენ.

3. რატომ ჰქვია სკოპინგის დოკუმენტს ”საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადება“ და არა „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის ანგარიში“, რომელიც, ვფიქრობთ თავისი არსით ანგარიშია და არა განცხადება. სკოპინგის დოკუმენტი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში (ვერსია 2020.01.18) მოიხსენიება როგორც ანგარიში (მუხლი 9) და შესაბამისად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2022 წლის 14 დეკემბერს წარმოდგენილ განცხადებაშიც (№ 15/9786) სკოპინგის დოკუმენტი მოხსენიებულია როგორც სკოპინგის ანგარიში, თუმცა შემდგომ 21 დეკემბრით დათარღებულ განცხადებაში (№ 15/10023), რომლის მიხედვითაც ხელახლა იწყება ადმინისტრაციული წარმოება ზემოთხსენებულ დოკუმენტებზე სკოპინგის დოკუმენტი ისევ განცხადებად მოიხსენიება.

ვფიქრობთ კარგი იქნება თუ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში შეტანილი იქნება ცვლილება, რომლის მიხედვითაც სგშ სკოპინგის დოკუმენტს ერქმევა ანგარიში და არა განცხადება.

4. სკოპინგის განცხადებაში მოტანილი ზოგიერთი მონაცემი ძველია ან არ შეესაბამება „საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა“, „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა (პროექტი)“ დოკუმენტებით გათვალისწინებულ მონაცემებს. მაგალითად სკოპინგის განცხადებაში 2030 წლისთვის ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი ენერჯის წილმა 27,4 % უნდა შეადგინოს, რაც არ არის თანხმობაში თანდართულ დოკუმენტებში არსებულ მონაცემებთან, რომლებშიც 2030 წლისთვის ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი ენერჯის წილი (საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა) 28,8% და (საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა (პროექტი)) 22,41%-ით განისაზღვრება). აღნიშნულ მაგალითში სკოპინგის განცხადებასა და საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა (პროექტი)-ში არსებულ მონაცემებს შორის სხვაობა ≈ 5%-ია. 2030 წლისთვის


ნავარაუდები ენერჯის საბოლოო მოხმარების (223 227 ტჯ)-ის 5% ≈ 11100 ტჯ-ია, რაც საკმაოდ დიდი რიცხვია და საკმარისია ≈ 3.5 მლნ ცალი 100 ვატიანი ნათურის 24 საათით გასანათებლად მთელი წლის განმავლობაში.

5. სკოპინგის დოკუმენტში არსებული რუკა 1. გვიჩვენებს საქართველოს მთავარ დასახლებულ ტერიტორიებს, ქალაქებს, დაცული და ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებს. სკოპინგის ტექსტის მიხედვით (*“ ქვემოთ წარმოდგენილ რუკაზე ნაჩვენებია გეოგრაფიული არეალი და მთავარი დასახლებული ტერიტორიები, სადაც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტებში გაწერილი ღონისძიებების განხორციელება (ანუ, დოკუმენტები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განხორციელდება)”*) რუკა უნდა გვიჩვენებდეს იმ გეოგრაფიულ არეალებს და მთავარ დასახლებულ ტერიტორიებს სადაც დაგეგმილია სტრატეგიულ დოკუმენტში გაწერილი ღონისძიებების განხორციელება. ხოლო რუკის ლეგენდაში არ არის რუკაზე მონიშნული წითელი წერტილების განმარტება. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (ვერსია 2020.01.18) მიხედვით, მუხლი 24. სგშ-ის პროცესში სკოპინგის განცხადება – 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესის შესაბამისად წარდგენილი სკოპინგის განცხადება უნდა მოიცავდეს: *“ბ) მოკლე ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტის, აგრეთვე იმ გეოგრაფიული არეალის და შესაბამისი დასახლებული პუნქტების შესახებ, სადაც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება.”* წითელი წერტილების ლეგენდაზე არ განმარტება გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ეს წერტილები აღნიშნავდეს დაგეგმილი ღონისძიებების მასშტაბებს, რისი ცოდნაც ძალზედ მნიშვნელოვანია, მოცემულმა სიტუაციამ კი შესაძლოა შეცდომაში შეგვიყვანოს და წითელ წერტილებს სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს.


5.1 აღსანიშნავია ისიც რომ სკოპინგის განცხადებაში აღნიშნული რუკა 1-ის გარდა სხვაგან არსად არ არის ნახსენები პროექტების განხორციელების კონკრეტული არეალები. ასევე არ არის ინფორმაცია არეალის და შესაბამისი დასახლებული პუნქტების შესახებ, სადაც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება. კარგი იქნებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო, პროექტების განხორციელების კონკრეტული არეალების შეიფ ვაილები (რომლის არსებობაც დაადასტურა ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს

წარმომადგენელმა 28 დეკემბერს სკოპინგის განცხადების განხილვისთვის გამართულ შეხვედრაზე) რაც საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი იქნებოდა.

5.2 ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუკა 1–ზე ზურმუხტის ტერიტორიების კლასიფიკაცია არასწორია. რუკა ამკარად ძველია, რასაც მოწმობს ის, რომ მასზე მონიშნული ზურმუხტის ქსელის კანდიდატი ტერიტორიებს და ზურმუხტის ქსელში შესატანად შეთავაზებული ტერიტორიებს უკვე ზურმუხტის ქსელში შემავალი ტერიტორიების სტატუსი აქვთ და 2022 წლის მონაცემები ნაჩვენებია სურათ 1–ზე. რუკა 1-ზე არ არის ასახული ბოლო განახლებული მონაცემები, არ არის მითითებული რომელ წელს არის შედგენილი და რომელი წლის მონაცემებია ზედ დატანილი, შესაბამისად აუცილებლად უნდა მოხდეს დოკუმენტის გატანა და რიგი გაუცნობიერებელი თუ გადაუმოწმებელი შეცდომების ჩასწორება.



რუკა 1.



სურათი 1. ზურმუხტის ქსელის რუკა (<https://emerald.eea.europa.eu/>)

6. საქართველოს ენერგეტიკის სექტორში არსებული მდგომარეობის აღწერისას საუბარია “წყაროების მიხედვით” მონაცემებზე, რომელიც ტექსტში არ არის ციტირებული. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კი, ტერმინი “წყაროების მიხედვით” კარგავს ლეგიტიმურობას და იძენს დაუსაბუთებელი და გადამოწმების შესაძლებლობის გარეშე დარჩენილ სიტყვათა წყობას.

მაგალითად მე-8 გვერდზე მოცემულია ინფორმაცია ენერჯის მოხმარების შესახებ, რომელსაც თან არ ერთვის წყარო: *“წყაროების მიხედვით, ენერჯის საბოლოო მოხმარებაში ყველაზე დიდი წილი ბუნებრივ გაზს უკავია (36.4%), რომლის ძირითადი ნაწილიც საყოფაცხოვრებო სექტორის მიერ მოიხმარება; შემდეგ მოდის ნავთობპროდუქტები (30%) და ელექტროენერჯია (22.6%). დარჩენილი 11% მოიცავს ბიომასას, ქვანახშირს, გეოთერმულ ენერჯიას და სხვა.”*

7. ტექსტში განსხვავებულადაა მოცემული ოკუპირებული აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის პროცენტულობა. თავდაპირველად გვ.8 წერია- *„ელექტროენერჯის დაახლოებით 17% ოკუპირებული აფხაზეთის მიერ მოიხმარება, რაც ენერჯის საბოლოო მოხმარების დაახლოებით 4%-ია“.* და შემდგომ საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის დანართში გვ. 9- *„ელექტროენერჯის დაახლოებით 18%- მდე ოკუპირებული აფხაზეთის მიერ მოიხმარება“.*

7.1 აღსანიშნავია ისიც, რომ გვ.8-ზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა მოხსენიებულია როგორც აფხაზეთის რეგიონი, დანარჩენ გვერდებზე კი რიგ

შემთხვევებში მხოლოდ აფხაზეთი, მაშინ, როდესაც სწორი ფორმა იქნებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

ამასთან საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის დოკუმენტში რიგ შემთხვევებში მხოლოდ აფხაზეთის, ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის და ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკითაა მოხსენიებული. გამომდინარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მნიშვნელობიდან, მსგავსი პოლიტიკის დოკუმენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს და დაუშვებელია სახელის ამდენი ვარიაციით გამოყენება, მაშინ როდესაც მას იურიდიულად მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ეწოდება.

მხოლოდ ეს მიზეზიც საკმარისად მიგვაჩნია, რომ შეიცვალოს სამივე დოკუმენტი.

8. ცხრილი 2: სგმ-ის ანგარიშში განსახილველი შესაძლო ზემოქმედებები გვ.26-ზე ჯანდაცვის სვეტში მუქი წითელი კატეგორიზაციითაა გამოყოფილი
“ფსიქოლოგიური და სხვა ზემოქმედება”, მაშინ როდესაც “ლანდშაფტთან შეუთავსებლობა” ან/და ვიზუალური, ფიზიკური ზემოქმედებები” არის ყვითელი ფერის კატეგორიად გამოყოფილი. ვთვლით, რომ თუკი “ფსიქოლოგიური და სხვა ზემოქმედება” წითელი ფერის კატეგორიას მიეკუთვნება, მაშინ მეტად იმსახურებს ამ კატეგორიაში მოხვედრას “ლანდშაფტთან შეუთავსებლობა” ან/და ვიზუალური, ფიზიკური ზემოქმედებები”, მაშინ როდესაც ამჟამად მხოლოდ ყვითელი კატეგორიით ფასდება.

8.1 ამავე ცხრილში გვ.26 და გვ.32 განახლებადი ენერჯის წყაროებიდან საბოლოო ენერჯის მოხმარების წილის გაზრდის და ადგილობრივი რესურსების ათვისებით ზემოქმედების სვეტში მხოლოდ ფაუნის უჯრაა მონიშნული ყვითლად (რომელიც განიხილება მნიშვნელოვან ზემოქმედებად, რომელიც უნდა გათვალისწინდეს სგმ-ს ანგარიშში) და არ არის ნახსენები ფლორა, შესაძლებელია დაზიანდეს ენერგობიექტების სივრცითი „ნაკვალევს“ შედეგად სახეობების და მცენარეული ჰაბიტატები. მაგალითად ქარის ელექტროსადგურების მშენებლობისას, რა თქმა უნდა, უარყოფითი ზემოქმედება იქნება მცენარეულ საფარზე და არა მხოლოდ მშენებლობისას, არამედ ექსპლუატაციის პროცესშიც,

რადგან აუცილებელი გახდება ქარის ელექტროსადგურებთან მისასვლელი გზების მოწყობა, რომელიც შესაძლოა ვეგეტატიურად გამრავლებადი მცენარეებისთვის გახდეს გადაულახავი ბარიერი, ასევე გასათვალისწინებელია კლიმატის ცვლილების როლიც, რომელიც გავლენას ახდენს მცენარეთა გავრცელების არეზე. შესაბამისად ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია და ცხრილში მონიშნული უნდა იყოს ყვითელი ფერით ანუ - მნიშვნელოვანი ზემოქმედებები, რომლებიც უნდა გათვალისწინდეს სგმ-ს ანგარიშში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სკოპინგის ანგარიშში არ არის ნახსენები მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კლასიფიცირდა შესაძლო ზემოქმედებები, ეს კი თავის მხრივ გაურკვევლობას და უამრავ კითხვას ბადებს. 28 დეკემბერს აღნიშნული სკოპინგის განცხადების განხილვისთვის გამართულ შეხვედრაზე ითქვა რომ შესაძლო ზემოქმედებები კლასიფიცირდა ექსპერტული ცოდნაზე დაყრდნობით, მაგრამ დოკუმენტში არ არის ნახსენები თუ ვის მიერ იქნა მომზადებული სკოპინგის განცხადება.

9. სკოპინგის განცხადებაში მოტანილი ალტერნატივა 1 რეალურად არის ნულოვანი ალტერნატივა. საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმას არ გააჩნია ალტერნატიული გეგმები. საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით კარგი იქნება თუ საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმას ექნება მინიმუმ 1 განსხვავებული ვარიანტი, რომელიც ჩაითვლება რეალურ ალტერნატივად.

10. საზოგადოების ადრეული მონაწილეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების (როდესაც ჯერ კიდევ ყველა ვარიანტი ღიაა განსახილველად) საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი არის საზოგადოებისთვის შესაძლებლობის მიცემა, მონაწილეობა მიიღოს გზმ-ის პროცედურის წინასწარი შეფასებისა (სკრინინგი) და მასშტაბის განსაზღვრის ეტაპზე, როდესაც ხდება იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომელთა განხილვაც მნიშვნელოვანია მაგალითისთვის: სლოვაკეთის 2020 წლის ენერგეტიკული პოლიტიკის სგმ პოლიტიკაზე მუშაობის პირველივე ფაზის დროს დაიწყო. ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა ენერგეტიკის პოლიტიკის მონახაზი, არასამთავრობო ორგანიზაციების

კომენტარების მისაღებად, შემდგომ კი, დისკუსიის დოკუმენტი საპარლამენტო შეხვედრებისათვის. როგორც კი ენერგეტიკული პოლიტიკის პროექტი გამზადდა, მასზე ხელმისაწვდომობის შესახებ ეცნობა გამოცემა The Economic News-ს (Hospodárske noviny), ხოლო ტექსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომი იყო ინტერნეტსა და სამთავრობო უწყებებში. საზოგადოებას ჰქონდა 2 თვე, რათა გაცნობოდა და შენიშვნები წარედგინა სგშ-ის მასშტაბთან დაკავშირებით. საერთო ჯამში, 400-ზე მეტი შენიშვნა იქნა წარდგენილი. ესეთი პრაქტიკა, ჩვენი ქვეყნისთვის იქნებოდა საუკეთესო.

წყარო: მასტრიხტის რეკომენდაციები გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში ეფექტიანი საზოგადოებრივი მონაწილეობის ხელშესაწყობად.

UNECE

მომზადებულია ორჰუსის კონვენციის ფარგლებში

[Maastricht Recommendations Geo.pdf \(greenalt.org\)](http://greenalt.org/Maastricht_Recommendations_Geo.pdf)

28 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადების განხილვისთვის გამართულ შეხვედრაზე ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, (სგშ სკოპინგის განცხადება - საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა და მისი დანართი - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა) მასზედ ადმინისტრაციული წარმოება იმის გამო შეწყდა, რომ თანდართული დოკუმენტები უფრო წაკითხვადი გახადეს და ტექსტში არსებული ყვითელი მარკირებები მოაშორეს. ვფიქრობთ, ჩვენი შენიშვნები და რეკომენდაციები ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლის მიერ დასახელებულ მიზეზზე მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანია და ვფიქრობთ, რომ სკოპინგის განცხადება უნდა იქნეს დაწუნებული, გამოსწორდეს დოკუმენტში არსებული ხარვეზები და ხელახლა იქნეს წარმოდგენილი განსახილველად.